

## თავი 28 ახალი ახალმოსულები

– ფიქრობ, რომ პრობლემები გაქვს? – თქვა ქედმაღლური იერის ქალბატონმა. იგი აშკარად შეწუხებული ჩანდა იმით, რომ დამოკიდებული იყო ადამიანებზე, რომლებიც თავის ქვეშევრდომებად მიაჩნდა. ცრემლებმომდგარმა ლამაზმაქმანიანი ცხვირსახოცი თვალებზე მიიღო და თქვა:

– პრესამ თუ შეიტყო რომ მე, ქალბატონი ინსი, დაპატიმრებული ვარ, ჩემი ქმრის კარიერა დასრულებულია. ნეტავ ამის საფასური რა დავაშავე. თქვენ როგორ მოიქცევით?

ქალბატონმა ინსმა ხელი გადახვია მის გვერდით დაბმულ ახალგაზრდა წყვილს და განაგრძო:

– რამდენიმე წლის წინ დიდი სახლი მქონდა, მყავდა სამი შვილი, რომლებიც საუკეთესო სკოლებში დადიოდნენ, მე კი ვაპირებდი, რომ ჩემს კარიერას დავბრუნებოდი. ჩემი ერთი მეზობელი ბევრს მოგზაურობდა და მას ვთხოვე, შეერჩია ისეთი ადამიანები, რომლებიც შეიძლება სახლში დამხმარებოდნენ. მან ჯიო და შერი მირჩია. მეც მაშინვე ორივე დავიქირავე. შერი შესანიშნავი მეზავე და მძღოლია, სახლში უამრავი რამის შეკეთება შეუძლია და სხვაგანაც მეგზავნება. ჯიო კი ნამდვილი განძია, ჩემი მსხნელი. იცის ბავშვებთან ურთიერთობა. როგორც კი დამჭირდება, მაშინვე ჩემთან გაჩნდება ხოლმე. საჭმელს ამზადებს, ასუფთავებს, თმას ჭრის, ათას საქმეს აკეთებს ჩემზე უკეთ. ბავშვები გიჟდებიან მის ნამცხვრებზე. სახლში რომ მივდივარ, შემიძლია ქმართან ერთად დავისვენო და შვილებს ვეთამაშო.

– თითქოს ყველაფერი გქონდათ, ასეთ ხელშეწყობას ყველა ინატრებდა, – თქვა ჯონათანმა, – მერე რა მოხდა?

– თავიდან ყველაფერი კარგად მიდიოდა. შემდეგ ჩემმა ქმარმა ახალი თანამდებობა მიიღო – კეთილი ნების ბიუროს ხელმძღვანელად დაინიშნა. მისმა ოპონენტებმა ჩვენი ფინანსური საქმეები გამოიკვლიეს და აღმოაჩინეს, რომ ჩვენ ჯიოსა და შერის საპენსიო გადასახადს არ ვიხდიდით.

– რატომ არ იხდიდით? – ჰკითხა ჯონათანმა.

– იმ დროს ეს არ შეგვეძლო, რადგან გადასახადი ძალიან მაღალი იყო, შემოსავალი კი – დაბალი. გარდა ამისა, მათ საპენსიო სარგებელის უფლება მაინც არ აქვთ.

– ანგარიშით სარგებლობასთან დაკავშირებით პრობლემები გვაქვს, – ამოიღო ხმა ჯიომ.

ცოლმა შეუმჩნევლად ხელით უბიძგა და წასწურა:

– ფრთხილად ჯიო, სახიფათოა.

ჯიო ცოლს თამამად შეეპასუხა:

– ქალბატონი დაგვეხმარა და ახლა ჩვენ დავეხმარებით, – შემდეგ ქალბატონ ინსს მიუბრუნდა, – თქვენ სიკვდილს გადაგვარჩინეთ, როცა ჩვენ ელ სადამორის კუნძულიდან ჩამოვედით. შიმშილი და ომი გადავიტანეთ. არჩევანი არ გვქონდა – გამგზავრება, შიმშილი ან სიკვდილი. ასე რომ, კორუმპოში ჩამოვედით. ქალბატონი რომ არ დაგვეხმარებოდა, ცოცხლები აღარ ვიქნებოდით.

– მართალია, – თქვა შერიმ ხმადაბლა, – ახლა ვწუხვარ, რომ ქალბატონს ამდენი საზრუნავი გაეუჩინეთ.

– ჩემს ქმარს აღარ დააწინაურებენ კეთილი ნების ბიუროში, შეიძლება აღარც ძველ სამსახურში დააწინაურონ. იგი კორუმპოს პირველი კომიტეტის თავმჯდომარე იყო, რომელიც ეროვნულ ღირსებას უწევდა პროპაგანდას. მტრები მას ფარისევლობაში დაადანაშაულებენ, – თქვა ქალბატონმა ინსმა და ღრმად ამოიოხრა.

– ფარისევლობაში? – ჩაეკითხა ჯონათანი.

– დიახ. კორუმპოს პირველი კომიტეტი ახალ ახალმოსულებს არ სწყალობს.

– ახალ ახალმოსულებს? – გაიმეორა ჯონათანმა, – და ძველი ახალმოსულები ვინ არიან?

– ძველი ახალმოსულები? ყველა დანარჩენი ჩვენგანი, – თქვა ქალბატონმა ინსმა, – ეს სომ კუნძულია. წლების განმავლობაში ასე ხდებოდა. ჩვენი წინაპრები სხვადასხვა ადგილებიდან ჩამოდიოდნენ და ახალმოსულები ხდებოდნენ. ისინი ან ზეწოლას გაუბოდნენ ან ცდილობდნენ, ცხოვრება გაეუმჯობესებინათ, მაგრამ ახალი ახალმოსულები ბოლო დროს ჩამოსული ხალხია. მათ წინააღმდეგ მიღებულია კანონი „დეპორტაციის“ შესახებ.

ჯონათანმა ძლივს გადაყლაპა ნერწყვი. ფიქრიც არ უნდოდა იმაზე, რა შეიძლებოდა მომხდარიყო, თუ მთავრობა გაიგებდა, რომ ისიც ახალი ახალმოსული იყო და ვითომ სხვათაშორის იკითხა:

– რატომ არ მოსწონთ ახალმოსულები?

– მათი საწინააღმდეგო არაფერი აქვთ, თუ ისინი ფულს იხდიან და სწორად ცხოვრობენ, – შეაწვევტინა მეთევზე ქალმა, – ისინი ტურისტები ან ბიზნესმენები არიან. მაგრამ ლორდთა საბჭოს არ მოსწონს ღარიბი ახალმოსულები, რომლებიც შეიძლება აქ დარჩნენ. ბევრი მათგანი ადგილობრივებთან შედარებით მუშაობს უფრო მეტს, დიდხანს, გაცილებით იაფად და სწრაფად. ისეთ საქმეებს აკეთებენ, რასაც ქალბატონი ინსი ხელსაც არ მოჰკიდებდა.

– ერთი წუთით, – თქვა ჯეკმა, – ახალი ახალმოსულების წინააღმდეგ უკმაყოფილების საფუძვლიანი მიზეზები არსებობს. მათ, როგორც წესი, არ იციან ჩვენი კუნძულის ენა, კულტურა და წეს-ჩვეულებები. მე ვაფასებ მათ შემართებას. ისინი საკუთარ სიცოცხლეს საფრთხის ქვეშ აყენებენ, რათა აქ ჩამოვიდნენ, როგორც უცხოელები. მაგრამ ყველაფრის სწავლას დრო სჭირდება და, გარდა ამისა, მათთვის საკმარისი ადგილიც არ არის. ეს გზა უფრო რთულია, ვიდრე ის, რომელიც ჩვენმა წინაპრებმა განვლეს.

ჯონათანი შეეცადა კორუმპოში ნანახი ადგილების გახსენებას – დაუსახლებელი ტყეები და ტრიალი მინდვრები. ხალხის უმრავლესობა თავს არიდებდა აუთვისებელ ადგილებს და ქალაქის ხმაურიან და აქტიურ ცხოვრებას არჩევდა.

შემდეგ ქალბატონმა ინსმა ჯეკს უპასუხა:

– ჩემმა ქმარმაც იგივე არგუმენტები წააყენა ახალი ახალმოსულების წინააღმდეგ. იგი ყოველთვის ამბობდა, რომ ახალ ახალმოსულებს ჯერ ენა და წეს-ჩვეულებები უნდა ესწავლათ, ვიდრე დარჩენის ნებართვას მიიღებდნენ. მათ უნდა ჰქონდეთ ფული, საკუთარი თავის რწმენა და ფლობდნენ ხელობას. გარდა ამისა, არ უნდა მიისაკუთრონ ადგილები. ჩემმა ქმარმა შეიმუშავა კანონპროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა იმ ადამიანების იდენტიფიკაციასა და დეპორტირებას, რომლებიც ამ მოთხოვნებს არ აკმაყოფილებენ, მაგრამ წინააღმდეგობას წააწყდა. არალეგალური ახალმოსულების აღწერილობა უფრო ჩვენს შვილებს შეესაბამებოდა, ვიდრე ისეთ ადამიანებს, როგორებიც ჯიო და შერი არიან.

ამ დროს ოთახში ორი ტანხემომდგარ უნიფორმაში ჩაცმული კაცი შემოვიდა. ორივეს ხელში თოკით დაბმული ავი შავი ძაღლი მოჰყავდა. გეზი პირდაპირ ქალბატონი ინსისკენ აიღეს, რომელიც ძაღლის გახშირებული სუნთქვისა და ღორბლიანი ეშვების დანახვაზე შიშისგან დაპატარავდა. ერთ-ერთმა შემოსულმა მცველს ქალბატონის ფეხზე ჯაჭვის შესხნა უბრძანა. ღრმა მონოტონური ხმით ამოიკითხა დოკუმენტიდან:

– პატივცემულო ქალბატონო ინს, ჩვენ გვინდა. . . – იგი შეჩერდა, წერილი მეორე მამაკაცს აჩვენა, რაღაც წასწურულა და განაგრძო: – პატივცემულო ქალბატონო ინს, ჩვენ გვინდა გულწრფელი ბოდიში მოგიხადოთ ამ სამწუხარო გაუგებრობისთვის. გარწმუნებთ, ეს საქმე მაღალ ინსტანციაში განიხილება.

ქალბატონმა ინსმა შვებით ამოისუნთქა და თავის მხლებლებთან ერთად გაუყვა გრძელ დერეფანს ისე რომ ჯიოსა და შერისკენ ერთხელაც არ მოუხედავს. დანარჩენები ამ ამბავს თვალს ჩუმად ადევნებდნენ. დამორგუნველ სიჩუმეს მხოლოდ ჯაჭვების ხმა არღვევდა. როცა ქალბატონი ინსი თვალს მიეფარა, მცველები ჯიოსა

და შერის მიუბრუნდნენ, ჯაჭვები შეხსნეს, დანარჩენებს მოაცილეს და ერთმანეთსაც დააშორეს. მცველები უხეშად უბიძგებდნენ საპირისპირო მიმართულებით და უყვიროდნენ:

– წაეთრიე არარაობავ, წაეთრიე იქ, საიდანაც მოხვედი.

– ჩვენ არავის ვაყენებთ ზიანს, – მუდარით ამბობდა შერი, – ჩვენ დავიხოცებით!

– ეს ჩემი საქმე არ არის, – შეუღრინა მცველმა.

მეთევზე ქალი დაელოდა, ვიდრე ისინი თვალს მიეფარებოდნენ და კარებს მოიჯახუნებდნენ და მერე თავისთვის ჩაილაპარაკა:

– სწორედაც რომ არის.

ჯონათანი ცოტა არ იყოს თრთოლამ აიტანა, როცა წარმოიდგინა რა ბედი ელოდა ამ წყვილს და, შესაძლოა, თავადაც. მან თავი ასწია და ქალს ჰკითხა:

– ესე იგი, ყველა, ვინც ამ ჯაჭვით არის დაბმული, აქ იმიტომ აღმოჩნდნენ, რომ მუშაობის უფლება არ აქვთ?

ქალმა ერთ ახალგაზრდა კაცზე მიუთითა, რომელსაც თავი ხელებში ჩაერგო, და უპასუხა:

– ამ კუთხით თუ შევხედავთ, იგი გამონაკლისია. მთავრობამ მას მოსთხოვა, ხელი მოეწერა ჯარისკაცად მუშაობაზე. მან უარი განაცხადა, ასე რომ, ისიც ჩვენსავით ჯაჭვებით დააბეს.

ჯონათანი კარგად ვერ ხედავდა ახალგაზრდა კაცის სახეს, მაგრამ მაინც ვერ გაეგო, რატომ უნდოდა ქალაქის უფროსობას, რომ ასეთ ახალგაზრდა კაცს ებრძოლა მათ მაგივრად.

– რატომ აძალებენ მას, რომ ჯარისკაცი იყოს?

– მათი აზრით, ეს ერთადერთი გზაა ჩვენი თავისუფალი საზოგადოების დასაცავად, – ჯაჭვების ჩხარუნში მეთევზე ქალის ხმამ ჯონათანის ყურთასმენამდე ძლივს მიაღწია.

– ვისგან დასაცავად? – ჰკითხა ჯონათანმა.

– მათგან, ვინც ეს ჯაჭვები დაგვადო, – გაბრაზდა ქალი.